# თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი

## სატენდერო დოკუმენტაცია

## გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

## ჭიათურის მუნიციპალიტეტის რგანის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის მობეტონების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანების საფუძველზე

**ჭიათურა 2016 წელი**

## 1. ინსტრუქცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯმდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანების შესაბამისად.
1.1 ელექტრონული შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში სისტემა) მეშვეობით.

## 2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. სამუშაოები განხორციელდეს საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული პარამეტრების სრული დაცვით.
2.2. გზებზე არსებული დაზიანებები, გარდა მექანიკური დაზიანებისა 1 წლის განმავლობაში აღმოფხვრილი უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ.

**2.3. პრეტენდენტი ვალდებულია სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოადგინოს:**

ა) ტენდერში მონაწილე პირის სპეციალისტთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| № | თანამდებობა, სპეციალობა | გვარი,სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება | მხოლოდ ანალოგიურ სამუშაოზე მუშაობის გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

ბ) სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო საშუალებები და მოწყობილობა-დანადგარები:

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, მარკა, ტიპი, ასაკი | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან) შეძენილი იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

გ)ინფორმაცია სამუშაოებზე მუშაობის შესახებ ბოლო 3 წლის მონაცემების წარმოდგენით

| № | ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი კონკრეტული ობიექტების მითითებით | შემსყიდველის დასახელება, რეკვიზიტები | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულების წელი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

**3.სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია**

1. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს და ინფორმაციას:

**ა) ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1)**

**ბ) სამუშაოს შესრულების გრაფიკი**

**გ) რეკვიზიტები** (დასახელება, მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

**დ) ინფორმაცია დღგ გადამხდელის შესახებ**

2. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარმოდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.

4.წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმებით.

5. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის (დღგ გარდა) , ტრანსპორტირებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით).

6. წინასწარ გადახდის მექანიზმი გამოიყენება.

**შენიშვნა:**

ტექნიკური დოკუმენტაციის მე-2 მუხლის და მე-3 მუხლის 1 პუნქტის

**ა,ბ,გ,დ,** ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების სისტემის მეშვეობით წარმოუდგენლობა გამოიწვევს **პრეტენდენტის უპირობო დისკვალიფიკაციას.**

**შენიშვნა:**

1. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზედაც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას **ექსპერტიზის** შესაბამისი დასკვნა. **ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა** ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უნდა უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ვადის შესაბამისად, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

   ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-12 მუხლის მე-11 მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

**დასკვნა გაცემულ უნდა იქნას ლევან სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს ან აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტირებულ პირთა რეესტრში არსებული პირის მიერ, შესაბამის სფეროში.**

**სატენდერო აპარატის იმ წევრების ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ**

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრებისაგან:

საკონტაქტო ტელეფონი: გოჩა ცუცქირიძე 0 (479) 25 10 81, მობ.: +995 99 69 47 69
ლაშა გოგოლაძე +995 95 51 81 61

მისამართზე: ჭიათურა, ნინოშვილის ქ №7, მესამე სართული მე-4 ოთახი
ჭიათურის მუნიციპალიტეტის შენობა

**ხელშეკრულება №**
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**

**---------- 20.. წ.** **ჭიათურა**

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**
ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, (მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7), მუნიციპალიტეტის გამგებლის ..... სახელით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ---------- (მისამართი: ----------), შემდგომში “მიმწოდებელი”.

**2. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:**
1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება - საუშაოს შესრულების გეგმა-გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა.

**3. ხელშეკრულების საგანი**
ხელშეკრულების საგანია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით გზის შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდი 45233140.

**4. ხელშეკრულების ღირებულება**
4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.
4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

**5. სამუშაოს შესრულების პირობები**
**მიმწოდებელია ვალდებულია:**
5.1.უზრუნველყოს ხელშეკრულების საგნად მიჩნეული სამუშაოს შესრულება ხარჯთაღრიცხვაში განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით.
5.2.სამუშაოები აწარმოოს სამშენებლო ნორმების სრული დაცვით, კვალიფიციური მუშა-პერსონალით, გამოყენებული იქნას ხარისხიანი საამშენებლო მასალები
5.3 სამუშაოების შესრულების დროს სრულად დაიცვას უსაფრთხოების ნორმები
5.4. სამუშაოს დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, მექანიკური დაზიანების გარდა.
5.5. სამუშაოს დასრულების ვადაა წლის ----------
**შემსყიდველი ვალდებულია:**
5.6. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

**6. ანგარიშსწორება**
6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში,
6.2. ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:
   ა) მიღება-ჩაბარების აქტი;
   ბ) ანგარიშ-ფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები;
   გ) შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია.
6.3. ანგარიშსწორების ვადაა მიმწოდებლის მიერ საფინანსო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღე.
6.4. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 50%-ისა, რაზეც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის ოდენობის საბანკო გარანტია.
6.5. ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 70%-ისა ტექნიკური ზედამხედველის დასკვნის საფუძველზე.

**7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**
7.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.
7.2. შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ მიერ შექმნილი მიმღები კომისიის მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

**8. დაუძლეველი პირობები**
8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი პირობების გარემოების შედეგი.
8.2 „დაუძლეველი პირობები“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3 დაუძლეველი პირობების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი პირობების ზეგავლენისაგან.

**9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**
9.1 დაუძლეველი პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადაში სამუშაოს შესრულების ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ---------- ლარის ოდენობით.
9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

**10. სადაო საკითხების გადაწყვეტა**
10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

11.1 შემსყიდველს უფლება აქვს, განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

11.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

**12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

12.1 არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესისს დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**13. ხელშეკრულების შეწყვეტა**

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელი თავისუფლდება ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან, ჯარიმდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე და იხდის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ს.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

**14. გამოყენებული სამართალი**

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**15. გადასახადები და დაბეგვრა**

15.1. მიმწოდებელი ვალდებულია კანონით დადგენილი გადასახადების გადახდაზე,

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება წლის --- ჩათვლით

**17. დამატებითი პირობა**

17.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

**18. მხარეთა რეკვიზიტები**

**შემსყიდველი** **მიმწოდებელი**

**შენიშვნა:**

**ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში**